ცვლილება ძალაშია 2021 წლის 16 სექტემბრიდან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება:

1. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 13 და 13[1] პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. თუ კლიენტს (ძირითად მომხმარებელს) დაავიწყდა პაროლი ან მოხდა პაროლის გამჟღავნება, იგი უფლებამოსილია განაახლოს ინტერნეტ ბანკინგის პაროლი ვებ-გვერდიდან (https://online.procreditbank.ge/New). კლიენტს შეცვლილი უნდა ჰქონდეს ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაციისას მიღებული ერთჯერადი პაროლი. კლიენტს, ასევე, შეუძლია დარეკოს ან მივიდეს ბანკში და მოითხოვოს ახალი ერთჯერადი პაროლი, რომელიც უნდა შეიცვალოს ინტერნეტ ბანკინგში შესვლისთანავე. ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას კლიენტს მოეთხოვება სწორი პასუხი გასცეს კოდურ შეკითხვას, რომელიც დაფიქსირებულია ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების ხელშეკრულებაში.

13[1]. ვებ-გვერდიდან (https://online.procreditbank.ge/New) პაროლის განახლება შეუძლია მხოლოდ აქტიური პირადობის დამადასტურებელი/მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მქონე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. ამასთან, კლიენტს ბანკში დაფიქსირებული/რეგისტრირებული უნდა ჰქონდეს შეთანხმებული მობილური ტელეფონის ნომერი და გააჩნდეს აქტიური პლასტიკური ბარათი (გარდა pay sticker-ისა/ლოკალური ტიპის - სადეპოზიტო ბარათისა), იურიდიული პირის შემთხვევაში მხოლოდ ორგანიზაციის უფლებამოსილ პირზე გაცემული აქტიური პლასტიკური ვიზა ბიზნეს ბარათი, ან ელ. ფოსტა, რომელიც დარეგისტრირებულია ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაციის განაცხადში. პაროლის განახლება ხდება მხოლოდ ძირითად მომხმარებელზე. პაროლის განახლების შემთხვევაში დამატებითი მომხმარებლები იბლოკებიან.“

2. შეიცვალოს „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 25-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25. უსაფრთხოების მიზნით, კლიენტი ვალდებულია პერიოდულად განაახლოს ინტერნეტ ბანკინგში შესასვლელი მომხმარებლის პაროლი, მაგრამ არაუგვიანეს ყოველი 6 თვისა. სისტემა იმახსოვრებს კლიენტის მიერ მინიჭებულ პაროლს, რომლის გამოყენებაც ვეღარ მოხდება.“